სახალხო გაგეთილი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 898

დამატების № 158

კვირა, 19 მაისი 1913 წ.

კახეთს

მაღალ-ახადით გავხედავ,—
სამოთხის კარი ეღება:
ალავერდი სჩანს,... კახეთი,—
ჩემი სამშობლოს შვენება;
გულში ამოხდა ცისკარი,
ღამემ დაიწყო თენება,
მომინდა ძველის დროების,—
გარდასრულ გმირთა ხსენება.
იმათ აჩრდილთან ლანდადა
მკლავებიც მომეჩვენება,
ხმლითა და ფარით შემკული,—
მამულის მტერზე ტევება.
დავლიო შესანდობარი,
ოცნება მომეფერება.
სმით გავძეღ, მოგონება კი
გულს საუკუნოდ ენება.
რაზმი და რაზმი ფიქრების
გარს შემომერტყა ნისლადა,—
აღარ მაცლიან ავწონო
რაც მომივიდა ფიქრადა,
ტალღა აწვება ტალღასა
ჩემს გულს იხდიან ბინადა,
ათას ნაწილად დაიჭრა,
ერთად ნაგრძნობი წინადა.
თვალს ვერ ვაცილებ ბახტრიონს:
აყვანილი მყავ შვილადა,—
ნატბევარია სისხლისა,
დღეს განისვენებს ტკბილადა;
ლუხუმ-ზეზვასებ ერთგული
მას ეყოლება ძვირადა!
ოცნება ბახტრიონისა
მონასტერშია მწირადა..

თვალს დავაყოლებ ალაზანს
ქცეულსა ბევრჯელ სისხლადა,—
ველს ოქროს მტევნად წოდებულს,
აჰკიდებიან კისრადა
გალმა-გამოღმა სოფლები,
თავის სიცოცხლედ, იღბლადა.
ფილტვად აქვს კახეთს თელავი,
ხოლო სიღნაღი ღვიძლადა;
პირის-პირ დაუყენებენ
კავკასიის ქედს ჯიბრადა
იმ თავის ციხე-გალავნებს,
ანაგებებსა მკვიდრადა.
ჩვენია ჩვენი ქვეყანა,
თუ ვის სხვას ერგო წილადა?
ქედ-დახრილნი ვართ, ბეჩავნი,
შთენილნი განაწბილადა!...
წიწამურს კიდით-კიდემდე
გართხმულს ალაზნის ველადა
მე ვსახავ სული წმინდადა
მოფენილს კახთა მცველადა.
დღეს სად არიან, ვისაცა
ჩვენი დალუპვა ეწადა?
რა ირგეს?—სხვა არაფერი
მხეცები დარჩნენ მხეცადა!
ჩვენი ტანჯვის და ვაების
ალი აუშვეს ზეცადა,
ჩვენ ბევრი გვავნეს, თავისთავს
ვერ არგეს ერთი ბეწვადა.
რა დაჰრჩესთ ან დღევანდელებს
შემდეგში დასაკვეხადა!..
დავცურავ ფიქრის ზღვაშია,
ტალღა პირში მცემს სილებსა
ბედ-იღბლის ვერაგობაზე,
ამოდ ვაღრჭენ კბილებსა.
ავაყენებ კი ტირილით
გარდასრულ ქართვლის გმირებსა?
ხმლს ვინც იქნევდა, კვდებოდა
მკლავზე სისხლ-გადამდინარი.
ვინც ვერა სთმობდა მამულსა
მტრის რაზმში ელკად მფრინავი,
„არ მოგცემთ ჩემსა სამშობლოს“,
ამირანის ხმით მგრგვინავი,
კვდებოდა პირზე ღიმილით,
იმაზე მეტი ბევრადა,
რაც კახეთს მწვანე ამოვა
ტურფა ყვავილთან ერთადა
მაისის დამდეგებშია
მთა, მინდორ, ჭალა, ველადა.
დღეს გმირთა შესანდობარსა
მთები-ღა ჰსვამენ მაღლები,
რადგან კახეთში, კახთათვის,
დაცარიელდა მარნები.
ის მთები კავკასიისა,—
მკვდარი კახეთის ზღუდენი,
კვარცხლბეკი შავის ნისლების
სად არწივთა აქვს ბუდენი,
ჩემი ბავშვობის ოცნება—
ბარტყი გაზარდა ორბადა,—
უზარ-მაზრის მხრებითა
კიდით კიდემდე ზორბადა,—
თავზე დაჰბრუნავს კახეთსა
გულ-მტკივნეული, მშობლადა.
და რომ არ იყოს ტანჯვითა
სულ მუდამ ასე ობლადა,
ალავერდს გიორგისა სთხოვს
ბოდბეში წმინდა ნინოსა,
რომ იმათ მეოხებითა
კახთ სხივი მოეფინოსა,
მეტი ისწრაფონ სწავლისკენ,
ნაკლებსა ჰსვამდენ ღვინოსა.

ვაჟა-ფშაველა.

ყვავილები

ა. შნიცლერისა.

დღეს, შუა-დღის შემდეგ, სულ ქუჩა-ქუჩა დავხეტიალებდი. წყნარად, აუჩქარებლივ სცვიოდა ქუჩებზე თეთრი თოვლი. ეხლა სახლში ვარ, ლამფა ანთია, სიგარას მოვუკიდე. მაგიდაზე ბლომად წიგნები აწყვია. საერთოდ ყველაფერი ხელს უწყობს ჩემს მყუდროებას. მაგრამ ყველა ამაოა, სულ ერთი და იგივე აზრები მიტრიალებს. განა დიდი ხანი არ არის, რაც „ის“ ჩემთვის მკვდარია? დიახ, მკვდარია! არა, მკვდარი კი არა, (როგორც მაშინ მოტყუებული ბავშვურის რიხიანობით მეგონა) რაღაც სიკვდილზედ უარესი დაემართა... მაგრამ ეხლა, როდესაც ვიცი, რომ „იმას“ სიკვდილზე მეტი არა დაჰმართვია-რა, ვიცი, რომ მხოლოდ მოკვდა, მოკვდა ისე, როგორც იხოცებიან ყველანი, რომელნიც ეხლა აი იქ, მიწის ქვეშ, წვანან და იწვებიან ყოველთვის, ყოველთვის: მაშინაც, როდესაც კვლავ მოვა გაზაფხული, ზაფხული, მაშინაც, როდესაც, როგორც დღეს, თოვლი მოვა. იწვებიან და არასოდეს ადგომის იმედი არ ექნებათ... ეხლა ვიცი, „იგი“ ჩემთვის ადრევე არ მომკვდარა. ჩემთვისაც მაშინ მოკვდა, როდესაც სხვებისთვის, ყველასათვის. წუხილი?.. არა, როცა საფლავში ვასვენებთ იმას, ვინც ოდესღაც ჩვენ გვეკუთვნოდა, ვისი სახეც მთელი თავისი მკაფიო მოხაზულობით თვალ-წინ გვიდგია, ვისი თვალების ბრწყინვალებას ვხედავთ და ვისი ლაპარაკის ხმა გვესმის,—მაშინ მარტო საერთო ჟრჟოლვა, აგვიტაცებს ხოლმე.

რასაკვირველია ძნელი იყო იმისი გაგება, რომ მატყუებდა... რა არ განვიცადე მაშინ? აშფოთება, უეცრივი სიძულვილი, ზიზღი ცხოვრებისადმი,—და რასაკვირველია—შეურაცყოფილი თავისმოყვარეობაც. მხოლოდ შემდეგში, თანდათან მწუხარებასთან ერთად ნუგეშიც გაჩნდა: რწმენა, რომ „ისიც“ უნდა იტანჯებოდეს. ეხლი აქ მიწყვია და ყოველ წუთს შემიძლიან გადავიკითხო „იმისი“ აუარებელი წერილები, შენდობასა თხოულობს ამ წერილებში, ქვითინებს, მწარედ სტირის!—აგერ თვით „იმასაც“ ვხედავ: ბინდისას ქუჩის კუთხეში სდგას, თავის მუქ ინგლისურ ტანსაცმელში გამოწყობილი პატარა ქუდით; კარებიდან გამოვედი... მიყურებს...

ის უკანასკნელი შეხვედრაც მახსოვს, როდესაც ჩემს წინ დიდ ხანს იდგა, გაკვირვება აღბეჭდოდა მრგვალ-ბავშვურ სახეზე, რომელიც ეხლა მთლად გადაფითრებულია, უძრავი...



ზაქ. ფალიაშვილი. მისი კონცერტის გამო.

როცა წასვლა დააპირა და მემშვიდობებოდა, ხელი არ გაუწოდე,—მიდიოდა უკანასკნელად.—ვხედავდი, როგორ მივიდა კუთხემდის, შეუხვია მეორე ქუჩისკენ და გაჰქრა სამუდამოდ. ეხლა ის აღარ დაბრუნდება...

მართალი რომ ვსთქვათ, ეს უბედურობა სრულიად შემთხვევით გავიგე. შესაძლებელია ერთი კვირა გასულიყო, თვე, მე-კი არა მცოდნოდა-რა მაგრამ ერთ დილას ქუჩაში იმისი ბიძა შემხვდა. იშვიათად არის ხოლმე ვენაში და ხშირად არა ვხვდებით. წინათაც, ერთხელ, ან ორჯელ თუ დაველაპარაკებულვარ: პირველად სამის წლის წინად ვნახე კეგლის მოთამაშეთა საზოგადოების საღამოზე, სადაც „ისიც“ იყო თავის დედით. ერთხელაც, მეორე ზაფხულსა ვნახე: მე და რამდენიმე ჩემი მეგობარი პრატერში ვიყავით. ჩვენს გვერდით ვიღაც კაცებს დაეჭირათ მაგიდა. მათ შორის იმისი ბიძაც იყო. ბიძია კარგს, თითქმის მხიარულს გუნებაზე იყო, ჩემი სადღეგრძელოც დალია. წასვლის დროს მოვიდა ჩემთან და საიდუმლოდ მითხრა, ჩემი ძმის-წული ერთავად შენით ბოდავსო. ლოთიფოთობის წუთებში სასაცილოდ მიმაჩნდა, თითქმის გასაკვირვლად რომ მოხუცმა სწორედ ამ დროს, წინწილების წკრიალსა და სკრიპკების სიმთა ჟღერის დროს, მიამბო ეს ამბავი; მიკვირდა, რადგანაც უიმისოდაც ყველაფერი კარგად ვიცოდი, ჯერაც არ გამციებოდა ტუჩებზე იმისი უკანასკნელი კოცნა... და აი. უეცრად სრულიად მოულოდნელად დღეს დილით გაველ... ვერ შევამჩნიე, კინაღამ გვერდი აუქციე. უფრო ზრდილობისთვის, ვიდრე რაიმე საჭიროებისთვის, ძმისწულის ამბავი ვკითხე... კარგა ხანია იმის ამბავი აღარ გამეგო. წერილებს დიდი ხანია აღარა მწერდა; მარტო ყვავილებს მიგზავნიდა თვეში ერთხელ ჩვენი უუბედნიერესი დღეების მოსაგონებლად; არავითარ წერილს არ გამოაყოლებდა ხოლმე მხოლოდ უხმო, მორჩილ ყვავილებს მიგზავნიდა... მოხუცს რომ ვკითხე, საშინლად გაიკვირვა! როგორ? განა არ იცით? ერთი კვირაც არის რაც საცოდავი გარდაიცვალა! ელდა მეცა. მოხუცმა ყველაფერი დაწვრილებით მიამბო. იგი დიდ ხანს ავადმყოფობდა, ლოგინში-კი მხოლოდ ერთი კვირა იწვა... რით იყო ავად? „ნერვები ჰქონდა მოშლილი... სისხლ-ნაკლები იყო... ექიმები ხომ ნამდვილს მიზეზს თავის დღეში ვერ გაიგებენ“.

დიდ ხანს ვიდექი იმ ადგილას, სადაც მოხუცმა დამტოვა; ისე ვიყავი მოშლილი, მოწყვეტილი, როგორც დიდი ჯაფის შემდეგ.—ასე მგონია დღევანდელი დღე საზღვარია ჩემი ცხოვრებისა. რატომ?.. რატომ?.. რატომ და იმიტომ, რომ ჩემს ცხოვრებაში გარეგნული ცვლილება მოხდა. არავითარი გრძნობა არა მქონია მისდამი. თითქმის არც-კი მაგონდებოდა... ყველა ეს ქვევით აღვწერე, და ამან ცოტაოდენი შვება მომცა: დავმშვიდდი: ვგრძნობ ჩემი ბედის მყუდროებას.—რა-ლა საჭიროა იმაზე ფიქრი და თავის გატანჯვა. მივანდოთ ეს იმას, ვისაც ჩემზე მეტი საბუთი აქვს მწუხარებისა.

* * *

სასეირნოდ გავემგზავრე. ზამთრის ნათელი დღეა. ცა მკრთალია, შორი, ცივი... სრულიად დამშვიდებული ვარ. გუშინ რომ მოხუცი შემხვდა... ასე მგონია რამდენიმე კვირის წინად იყო მეთქი.—იმაზე რომ ვფიქრობ, მკაფიოდ მიდგება თვალწინ მისი სახე, მხოლოდ ერთი რამ აკლია, მრისხანება, რომელიც ამ უკანასკნელ დრომდის ყოველთვის უერთდებოდა ჩემს მოგონებას. მაგრამ, მაინც ნათლად ვერ წარმომიდგენია, რომ იგი ამ ქვეყნად აღარ არსებობს, კუბოში წევს, მიწაშია ჩაფლული. კი არა მწყინს,—არა! ქვეყნიერება დღეს კვლავინდელზე წყნარად მეჩვენება. ხანდისხან მგონია, ვითომც არ არსებობს არც სიხარული, არც მწუხარება; მხოლოდ სიხარულის ან მწუხარების სახის გამომეტყველებაა; ვიცინით, ან ვსტირით და ამით ვმართავთ ჩვენ სულსაც. ეხლა შემიძლიან დავჯდე დ ძალიან ღრმა-აზროვანი წიგნები წავიკითხო, დარწმუნებული ვარ შინაარსი ძალიან მალე გამიტაცებს. აგრედვე შემიძლიან დავდგე ძველებური სურათების წინ, რომელნიც წინად ჩემს სულსა და გულს არაფერს ეუბნებოდნენ, ვუცქირო და მათი პირქუში სილამაზე ვიგრძნო... როდესაც მაგონდება მრავალი, ჩემთვის ძვირფასი, ბნელ საფლავში ჩასული არსება, წინანდებულად გული არ მეხუთება—ჩემთვის სიკვდილიც-კი სამეგობრო რამ გაჰხდა. იგი ჩვენს შორის დადის და არავისთვის არავითარი ვნება არა ჰსურს.

* * *

თოვლი, ღრმა, თეთრი თოვლია მოფენილი ყველა ქუჩაზე. პატარა გრეტელი მოვიდა ჩემთან, გადასწყვიტა მარხილით გასეირნება. ქალაქ გარედ გავედით. სწრაფად, სწრაფად მირბოდა ჩვენი მარხილი თოვლიან სიპ გზებზედა, მირბოდა ჭრიალით და მას ბანს აძლევდა ჟღარუნებასა და ზარების წკრიალი, მირბოდა თეთრ პატარა გორაკების შუა, ზემოდან-კი ბაცი ნაცრის ფერი ცა დაგვყურებდა.

გრეტელს თავი ჩემს მხარზე დაედო. კმაყოფილი თვალებით გასცქეროდა გრძელ გზას, რომელიც ჩვენ წინ მირბოდა

იაპონელი მსახიობი ქალი **განაკო ოოტა.**
(მისი გასტროლების გამო).

და სადღაც შორს იკარგებოდა. მივედით რესტორანში, რომელსაც შარშანდელ ზაფხულს აქედ კარგად ვიცნობდით. მაშინ ის მთლად მწვანე ფოთლებში იყო დამალული, ეხლა-კი სურათი შეცვლილა: ისე მოცარიელებულა აქაურობა, ისე განცალკევებულა დანარჩენ ქვეყნიერებისაგან, თითქოს დღეს პირველად მოვაგენით ამ ალაგსო. ძალზე გავარვარებული ფე-

ტფ. ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი.
დაარსებული მიხ. კავსაძის მიერ.

ჩი ისე აცხუნებდა ოთახს, რომ იძულებულნი ვიყავით მაგიდა ფეჩიდან ცოტა მოშორებით დაგვედგა. პატარა გრეტელს მარცხენა ლოყა და ყური სიცხისაგან გაუწითლდა. მეორე ლოყა მე აუწითლე კოცნით. სახლში უკვე ბინდისას დავბრუნდით. გრეტელი მაგრად მეკროდა, ხელები დამიჭირა: „დღეს ისევ ჩემი ხარ“ მეუბნება. ამ უნებლიედ წარმოთქმულმა სიტყვებმა მშვენიერ გუნებაზე მომიყვანა. ან, იქნება, სოფლის ცივმა ჰაერმა ხელ-ახლად გამოაცოცხლა ჩემი აზრები? ასე თუ ისე, ჩემს თავს უფრო ჯანმრთელად, უფრო მხიარულად ვგრძნობ, ვიდრე უკანასკნელ დღეებში.

***

აი კიდევ, როდესაც, სადილის შემდეგ, ბურანში წასული, სავარძელზე ვიწექი, თავში ერთმა უცნაურმა აზრმა გამირბინა. თითქოს ყოველისფერზე გული ავყარე, გულ-გრილი გავხდი, უგრძნობელი. ასე ემართება ადამიანს, როცა ცრემლგამშრალი, გრძნობა-დაკარგული თავის ძვირფასი არსების საფლავთან სდგას. ასე მოსდის იმასაც, რომელიც ისე უგრძნობელი გამხდარა, რომ მას შიშიც კი ვერ არგებს ნაადრევ სიკვდილთან. დიახ, დიახ, შეურიგებელია, სწორედ, სწორედ...

***

გათავდა, ყოველივე გათავდა. ცხოვრება, სიამოვნება, სიყვარულის ილლუზია, შორს ყველა ეს სისულელეები. ისევ ხშირადა ვარ ხალხში. დიდი სიამოვნებით ვუცქერი მათ. ისინი უდარდელნი არიან, მხიარულად ჰყბედობენ უმნიშვნელო საგნებზე. გრეტელიც, ძვირფასი, მომაჯადოვებელი არსება, რა მშვენიერია, როცა სადილს შემდეგ, ჩემს ფანჯარასთანა სდგას და მის ქერა თავზე მზის სხივები ბრწყინავენ.

***

დღეს რაღაც გასაოცარი ამბავი მოჰხდა... დღევანდელი დღე ის დღეა, როცა ის ყოველ თვე ყვავილებს მიგზავნიდა... ყვავილები ისევ მომიტანეს, თითქოს... თითქოს არაფერი გამოცვლილიყოს.—მივიღე დილით ადრე, ფოსტით, თეთრი გრძელი, ვიწრო კოლოფით. ჯერ ადრე იყო. ჩემი ტვინი და თვალები ისევ ბურანით იყო მოცული. ყუთის გახსნა რომ მოვიწადინე, მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე... თითქმის ელდა მეცა.. ყუთში, ოქროს ფერ ძაფებით ლამაზად შეკრული, მიხაკისა და იის თაიგული იდო... თითქოს კუბოში წევსო. ყვავილები რომ ხელში ავიღე, გული საშინელმა გრძნობამ მოიცვა. ვიცი, დღეს როგორ მივიღე კიდევ ეს ყვავილები: როდესაც ის ავად გახდა, როდესაც სიკვდილის მოახლოვება იგრძნო, მაღაზიაში ჩვეულებრივად დაიკვეთა ყვავილები და სთხოვა, დანიშნულ დროს გამოეგზავნა. დასაფასებელია ეს სინაზე.

რასაკვირველია, ყვავილების მიღება, მხოლოდ ამნაირად შემეძლო ამეხსნა. ბუნებრივიც არის გულის ამჩუყებელიც... მაგრამ მაინც, როდესაც ხელში მეჭირა, მომეჩვენა, თითქოს ათრთოლდნენ, თავი დამიქნიეს. წინააღმდეგ ჩემი გონებისა და ნების ყოფისა, ისინი რაღაც ზეგრძნობიერ მოვლენად მეჩვენნენ, ასე მეგონა იმისაგან მომიტანეს მოკითხვა მეთქი. თითქოს იქიდანაც კი უნდა ემცნო თავისი სიყვარული, თავისი დაგვიანებული ერთგულება.—ოხ, ჩვენ არ ვიცით, რა არის სიკვდილი, ვერც როდისმე გავიგებთ; ყოველი არსება მხოლოდ მაშინა კვდება, როცა ყველა მისი ნაცნობებიც იხოცებიან... დღეს ყვავილები სულ სხვანაირად ავიღე ხელში, უფრო ნაზად, თითქოს მეშინოდა, ტლანქ, მოუხეშავ ქცევით რამე მეტკენინებინა... ასე მეგონა, მათი უხმო სული დაიკვნესებს მეთქი. ეხლა ყვავილები ჩემს მაგიდაზე, მაღალ, მწვანე ჭიქაში სდგას, მგონია, თითქოს მწუხარე მადლობის ნიშნად თავებს აქნევენ. მათ სურნელებასთან ერთად თავს უსარგებლო დარდმა დამქროლა. მგონია, ბევრი რაშის თქმა შეეძლებოდათ, ყველა ქმნილებათა ენა რომ გვესმოდეს და არა მარტო მოლაპარაკეთა.

***

თავს არ ვიტყუებ. ყვავილებია—მეტი არაფერი. საიქიოდან გამოგზავნილი მოკითხვაა... იგი სამარისკენ არ მიწვევს არა! რომელიმე მეყვავილე ქალმა მექანიკურად შეჰკრა იგი თაიგული, გადააფარა ბამბა, თეთრ ყუთში ჩასდო და ფოსტაში გაგზავნა. და აი, აქ გაჩნდნენ. მაშ რადა ვფიქრობ ერთთავად მათზე?

***

ხშირად დავდივარ წმინდა ჰაერზე, დავდივარ მარტოკა, შორს. როდესაც ხალხთან ვარ, ვერავითარ კავშირს ვერა ვგრძნობ მათთან, ყველა ძაფები სწყდება. ამას მაშინაც-კი ვგრძნობ, როცა თმა-ხუჭუჭა ქერა გოგონა ჩემს ოთახში მუხლზე მიზის და დაუღალავად ტიტინებს... ე—ეხ, მე არც კი მესმის, რაზე მელაპარაკება. წავა თუ არა, მაშინათვე ვგრძნობ, რომ იგი შორს არის ჩემგან, თითქოს სამუდამოდ წავიდა, თითქოს ხალხის ტალღამ შთანთქა იგი და უკვალოდ გააქრო. მეორედ რომ აღარ მოვიდეს, არც-კი გამიკვირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

***

ყვავილები მაღალ, მწვანე ჭიქაში სდგას. მათი ყლორტები წყალშია ჩაშვებული, სურნელება მთელ ოთახს ავსებს.—ერთი კვირაა რაც ისინი ჩემს ოთახში სდგანან, მაგრამ მაინც სურნელებას აფრქვევენ... ნელ-ნელა სჭკნებიან. ეხლა ბუნების ყველა საგნების ენა მესმის. მრწამს, თუ ღრუბელს, მდინარეს გამოველაპარაკე—პასუხს მივიღებ, აი სწორედ ამიტომ შევცქერი ამ ყვავილებს და ველი, როდის დაიწყებენ ლაპარაკს... მაგრამ არა, მე ვიცი, ისინი ყოველთვის ლაპარაკობენ... ეხლაც-კი... ყოველთვის ლაპარაკობენ, სჩივიან... მეც მალე მივხვდები მათ ენას.

***

გახარებული ვარ, ზამთარს ბოლო ეღება... ჰაერს უკვე გაზაფხულის მოახლოვება ეგრძნევა. საკვირველად მიმდინარეობს ჩემი დრო. ისევ წინანდებულად ვცხოვრობ, მაგრამ ხანდისხან მგონია, თითქოს ჩემი ცხოვრების საზღვრები უწინდელ სიმკაცრეს ჰკარგავენ. გუშინდელი დღე უკვე ბურუსმა მოიცვა,—ის, რაც რამდენიმე დღის წინად მოხდა, რაღაც გამოურკვეველ სიზმრად მიმაჩნია. როცა გრეტელი თავს მანებებს, ასე მგონია (მეტადრე დიდი ხნის უნახაობის შემდეგ) ჩემი დაიმის ამბავი დიდი ხანია გათავდა. გრეტელი ყოველთვის ისე შორიდან მოდის, შორიდან... მხოლოდ მაშინ, როცა იგი თავისებურად ტიტინს, მოჰყვება, გამოვერკვევი ხოლმე და სინამდვილეს მკაფიოდ ვხედავ. ამ დროს სიტყვები ხმამაღლა ისმის, ფერი ნათლად. მაგრამ, როცა ძვირფასი პაწია, წასვლის უმალვე მიუწვდომელ სივრცეში იკარგება, რა რიგ წუთიერად და ცხოველად მეჩვენება იმისი სიახლოვე! წინად, წასვლის შემდეგ, ოთახში ისევ გაისმოდა ხოლმე მისი ხმა, ნათელი თვალების შუქი ბრწყინავდა; ეხლა-კი, ყველაფერი ერთბაშად ჩუმდება და ჰქრება, როგორც ყრუ გამოქვაბულში.—მე და ჩემი ყვავილები მარტონი ვრჩებით. ყვავილები კიდეც გახმა, სულ მთლად გახმა. აღარც სუნი აქვს.—გრეტელი აქამდის ყურადღებას არ აქცევდა მათ; დღეს პირველად დააცქერდა. ისე მეჩვენა, თითქოს რიღაცის კითხვა უნდოდა, მაგრამ ერთბაშად გამოურკვეველმა, საიდუმლო შიშმა აიტანა და არაფერი სთქვა; საერთოდ აღარც სხვა რამეზე დამელაპარაკა, მალე გამომემშვიდობა და წავიდა.

***

ყვავილები ნელ-ნელა იფურცლება... ხელს არ ვახლებ: ხელში აღება და მტვრად ქცევა ერთი იქნება. ძალიან მწყინს რომ დასჭკნენ. ვერ წარმომიდგენია, რატომ ძალა არა მყოფნის, ბოლო მოუღო ამ უაზრო აჩრდილს. ეს მკვდარი ყვავილები მტანჯავენ. ხანდისხან ვეღარ ვიტან ამ ტანჯვას და გავურბი. მაგრამ ქუჩაში რაღაცა მიზიდავს უკან, სახლისკენ მწევს მათს დასანახავად. ისევ იქ სდგანან, ისევ იმ მწვანე ჭიქაში, ისევ ისეთი დამჭკნარი, მოწყენილი, როგორც დავსტოვე! გუშინ საღამოთი დავსტიროდი მათ, ვით საფლავს, და სრულებით კი არა ვფიქრობდი მასზე, ვინც ყვავილები გამოგზავნა.

იქნება ვსცდები, მაგრამ მგონია გრეტელიც ამჩნევს, რომ ჩემს ოთახში რაღაც არაჩვეულებრივი სუფევს. ოთახში რომ ვართ, არ იცინის. ისე ხმა-მაღლა, მხიარული, ცოცხალი კილოთი აღარა ლაპარაკობს. რასაკვირველია, მეც წინანდებულად აღარ ვუხვდები... მეშინიან ადრე თუ გვიან არა მკითხოს. რომ მკითხოს, ჩემთვის ეს აუტანელი იქნება.

გრეტელს ხშირად თან სამუშაო მოაქვს. სანამ მე წიგნებსა ვკითხულობ, ის ზის მაგიდასთან, ან ჰქსოვს, ან ჰკერავს და მოთმინებით ელის, როდის გადავდებ წიგნს, მივალ მასთან და სამუშაოს ხელიდან გამოვართმევ. მერე მწვანე აბაჟურს გადავხდი ლამფას, რომელთანაც ის მუშაობდა და მთელს ოთახს საამური რბილი ნათელი ეფინება. არ მიყვარს, როცა კუთხეებში ბნელა.

***

გაზაფხულის ღამეა. ოთახის ფანჯარა ღიაა. მე და გრეტელი ბნელ ქუჩას გავცქერით. თბილმა, ნაზმა ჰაერმა მოგვიალერსა. გავიხედე ქუჩის კუთხისკენ, სადაც ფანარი ოდნავ აშუქებს რაღაც ჩრდილი გაჩნდა... ვხედავდი მას და არცა ვხედავდი... ვიცი, არ დამინახია... თვალები დავხუჭე. მაინც ვხედავდი.—იქ საცოდავი არსება იდგა. იმ მკრთალ სინათლეში სახე ისე მკაფიოდ დავინახე, თითქოს ბრწყინვალე მზის სხივებით ყოფილიყვეს განათებული... და ამ მწუხარე, გაფითრებულ სახეზე დიდრონი, გაკვირვებული თვალები შევნიშნეელი-ნელა ფანჯარას მოვშორდი და მაგიდასთან დავჯექი. ქუჩიდან ქარი უბერავს და სანთლის ალს ათამაშებს. უძრავად ვზივარ; ვგრძნობ, უბედური ქმნილება სდგას ქუჩაში და მელოდება. რომ არ მეშინოდეს ამ მკვდარი ყვავილების ხელის ხლება, ჭიქიდან ამოვიღებდი და იმას მიურბეინებდი...

ასე ვფიქრობდი. ჩემი ფიქრი ნათელი იყო, თუმცა იმავ წუთში ვრწმუნდებოდი ამ აზრების სისულელეში. გრეტელიც მოშორდა ფანჯარას, ერთი წუთით ჩემს სკამს უკან შეჩერდა და ტუჩები ჩემს თმას შეეხო. მერე წავიდა; მარტო დავრჩი. ჩაშტერებით ვუცქეროდი ყვავილებს. ყვავილები აღარ არის. მარტო გამხმარი, საცოდავი, შიშველა ყლორტები-ღა დარჩა, მტანჯავს, თითქმის ჭკუას მაკარგვინებს.—ეს ადვილი გასაგებიცაა. ესე რომ არ იყვეს, გრეტელი დიდი ხანია მკითხავდა, მაგრამ ისიცა ჰგრძნობს და ჩემი ოთახიდან ისე გარბის, თითქოს აქ რაღაც მოჩვენებანი დასახლებულიყვნენ.

***

მოჩვენებანი!—დიახ, ისინი არსებობენ, არსებობენ! მკვდარი საგნები ცხოვრებას სთამაშობენ. გამხმარი ყვავილები მჭკნარ სუნს აფრქვევენ მოსაგონებლად იმ დროისა, როცა ისინიც ჰყვავოდნენ. მკვდრებიც სდგებიან, ბრუნდებიან, სანამ ჩვენ თითონ არ ვივიწყებ მათ. - რა ვქნათ, თუ ის ველარა ლაპარაკობს; მე მაინც მესმის იმისი ხმა. აღარ დაბრუნდება, მაგრამ მე ხომ შემიძლიან დავინახო! გაზაფხული, მზე, რომელიც ჩემს ხალიჩაზე სხივებს ჰფანტავს, ახლად აყვავებული იასამანის სუნი, რომელიც მახლობელ ბაღიდან მოდის, ქვეით, ქუჩაში მოსიარულე ხალხი, რომელთანაც მე საერთო არა მაქვსრა,—განა მარტო ეს არის სიცოცხლე? მე შემიძლიან ფარდები ჩამოვაფარო და მზე მოკვდება. აღარაფერს ვიკითხავ ხალხზე, დავივიწყებ მათ—ისინი დაიხოცებიან. მივხურავ ფანჯარას და იასამანის სუნს ველარ გავიგებ—გაზაფხული გაჰქრება. მე მზეზე, ხალხზე, გაზაფხულზე ძლიერი ვარ. მაგრამ მოგონებანი, მოგონებანი ჩემზე ძლიერნი არიან. ისინი, როდესაც ჰსურთ მობძანდებიან. ადამიანს ვერ ძალუძს გაექცეს მათ. ეს ჭიქაში ჩაშვებული, გამხმარი ყლორტები ნორჩ იასამანზედაც და გაზაფხულზედაც მძლავრია.

***

ამ სტრიქონებსა ვსწერდი, როცა გრეტელი მოვიდა. ესე ადრე არა დროს არ მოსულა, ამიტომ გავკვირდი, ავირიე. რამდენიმე წუთით კარებში შეჩერდა; შევცქეროდი, მისალმება ვერ მომეხერხებინა. გაიღიმა, მომიახლოვდა. ხელში ახალი ყვავილების თაიგული ეჭირა. უხმოდ მოუახლოვდა ჩემს საწერ მაგიდას და თაიგული წინ დამიდო. მერე მწვანე ჭიქაში მდგარს დამჭკნარს ყვავილებს სწრაფად სტაცა ხელი. თითქოს შიგ გულში მწვდა ვინმეო, ხმის ამოღებაც-კი ვეღარ შევძელ... მინდოდა, წამოვმხტარიყავ, ქალისთვის ხელი მეტაცნა, მაგრამ იგი იდგა და იცინოდა... დამჭკნარი ყვავილები მაღლა ასწია, მივიდა ფანჯარასთან და ქუჩაში გადაისროლა. მეგონა თან გადავყვებოდი, მაგრამ ჩემ წინ ფანჯარაზე დაყრდნობილი ქალი იდგა, სახე ჩემსკენ მოებრუნებინა. მის ქერა თმაში სიცოცხლით სავსე მზის სხივები თამაშობდა... გარედან იასამანის სუნი შემოდიოდა. მწვანე ჭიქას გადავხედე: ობოლივით ცარიელი იდგა საწერ-მაგიდაზე; არ ვიცი რა დამემართა. ის-კი ცხადი იყო, რაღაც მოსვენება ვიგრძენ. გრეტელმა აიღო თავისი პატარა თაიგული და სახეზე მომადო... ცივი, თეთრი იასამანი...

საღი, მშვენიერი ნაზი, ცივი; სურნელება ჰქონდა. მსურდა, სახე მთლად ჩამემალნა შიგ.—მომცინარე, თეთრი, მეამბორე ყვავილებში! მოჩვენებანი გაჰქრნენ. გრეტელი თავის ცელქ ხელებს თმაზე მისვამდა. მეუბნებოდა: „ჩემო სულელო!“ ნეტავ, ჰგრძნობდა, რა ჩაიდინა? ხელები დავუჭირე და კოცნა დავუწყე. საღამოთი წმინდა ჰაერზე გავიარეთ—გაზაფხულია. ეს არის ეხლა დავბრუნდით. ბევრი ვიარეთ. გრეტელი ისე დაიღალა, რომ აქვე ბუხართან, სავარძელში მიეძინა. რა მშვენიერია ეს გოგონა, როცა გაზაფხულს უღიმის. ჩემ წინ, მაღალ, მწვანე ჭიქაში იასამანი სდგას.—ქვეით, ქუჩაზე—არა, არა, დიდი ხანია იქ აღარაფერია. ისინი მტვერთან ერთად ქარმა გაჰფანტა.

ე. ი—შვილი.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.

რედაქტორ-გამომცემელი ა. ჭუმბაძე.